<u>დანართი N1</u>

საგრანტო პროგრამა

უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა

1. საგრანტო პროგრამის აღწერა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ახორციელებს საგრანტო პროგრამას - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“.

აღნიშნულ საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს პირადად ან საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესთან ერთად.

პროგრამის არსია, საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამჭვირვალე კონკურსის გზით, ხელი შეუწყონ უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების ფუნქციონირებას და განვითარებას.

2. საგრანტო პროგრამის ამოცანა და მიზანი

პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ - მიზანია ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, საქართველოს პოპულარიზაცია და სახალხო დიპლომატიის განვითარება.

პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ - ამოცანაა უცხოეთში მოქმედი ქართული ანსამბლების საჭიროებებისთვის მიმართული ინიციატივების დაფინანსების მექანიზმის შექმნის გზით, დიასპორასა და სახელმწიფოს შორის კავშირების გაღრმავება.

3. გრანტის გაცემის პირობები და პრინციპები

3.1. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების ფუნქციონირების და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი პროექტები, კერძოდ, მოხდება ანსამბლების ტექნიკურად და მატერიალურად აღჭურვა.

3.2. პროგრამის ფარგლებში, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, გრანტი გაიცემა საზღვარგარეთ მოქმედი არაუმეტეს 4 ქართული ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის, ასევე თანამედროვე ცეკვისა და მუსიკის სხვადასხვა ჟანრის ქართველი შემსრულებლების კონცერტის დასაფინანსებლად საქართველოში, უპირატესად რეგიონებში;

3.3. პროგრამის ფარგლებში დაფინასდება საქართველოდან არაუმეტეს 4 პროფესიონალის ადგილსამყოფელ ქვეყანაში გაგზავნა და ქართული ცეკვისა და სიმღერის მასტერკლასების ჩატარება;

3.4. პროგრამაში განაცხადის შეტანის უფლება აქვს ბოლო 1 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეს პირადად ან საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესთან ერთად;

3.5. აკრძალულია წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შეძენილი აქტივების რეალიზაცია;

3.6. პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხიდან პროექტის ავტორს ეკრძალება ჰონორარის მიღება;

3.7. გრანტი გაიცემა თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ხარჯთეფექტურობის, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპის დაცვით.

4. გრანტის ოდენობა

4.1. საგრანტო თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს;

4.2. ამ პროგრამის 3.1. პუნქტში მითითებული მიზნის განსახორციელებლად საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი (აღნიშნული თანხა აუცილებლად უნდა მოიცავეს ანსამბლების მიერ შეძენილი ფორმების, ინსტრუმენტების თუ სხვა ინვენტარის ან რეკვიზიტების ადგილსამყოფელ ქვეყანებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მისამართებზე ტრანსპორტირების ხარჯს).

4.3 ამ პროგრამის 3.2. პუნქტში მითითებული მიზნის განსახორციელებლად საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

4.4. ამ პროგრამის 3.3. პუნქტში მითითებული მიზნის განსახორციელებლად საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

4.5. სამინისტროსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პირს შორის ფორმდება გრანტის გაცემის და გამოყენების შესახებ ხელშეკრულება;

5. საგრანტო პროგრამის დაფინანსების წყარო

სამინისტროს მიერ თანხის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი 2025 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

6. საგრანტო კომისია

6.1. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვის და საგრანტო კონკურში გამარჯვებული მონაწილის გამოვლენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იქმნება

საგრანტო პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ - საკონკურსო კომისია.

6.2. მონაწილე კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის და მე-7 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შეფასების საფუძველზე;

6.3. მონაწილე კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება შემდეგი წესით:
I ეტაპი: წარმოდგენილი პროექტის გრანტის გაცემის პირობებთან და წარმოსადგენ დოკუმენტებთან/აპლიკაციებთან შესაბამისობის შეფასება;
II ეტაპი: გასაუბრება (კომისიის გადაწყვეტილების შემთხვევაში);

6.4. საგრანტო განაცხადი არ განიხილება თუ იგი წარმოდგენილ იქნა დანართში მითითებული ვადების (პ. 9) ან/და დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, აგრეთვე, დანართის მე-7.2. ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტების არასრული სახით წარმოდგენის შემთხვევაში.

7. საგრანტო განცხადების წარდგენა

7.1. საგრანტო განცხადების წარდგენის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს.

7.2. განმცხადებლის მიერ წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტები:

- დადგენილი ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (დანართი N2);
- პროექტის დეტალურად გაწერილი ბიუჯეტის თანდართული ფორმა (დანართი N3);
- ერთი ფოტოსურათი;
- CV ქართულ ენაზე;
- საქართველოს მოქალაქის მოქმედი პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- საზღვარგარეთ ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სასწავლო ვიზა, ცხოვრების ნებართვა, ცნობა მუშაობის უფლების შესახებ და სხვა);
- საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ცეკვის ან/და სიმღერის ანსამბლის ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა და ღონისძიებების დასახელება.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ გაცემული წინასწარი ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინვოისი ან ხელშეკრულება).
- საქართველოს რომელიმე ბანკში გახსნილი ლარის ანგარიშის რეკვიზიტები.

ამ პროგრამის 3.3. პუნქტში მითითებული მიზნის განსახორციელებლად განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

- ქორეოგრაფთან/მუსიკოსთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულება;
- ქორეოგრაფის/მუსიკოსის ბიოგრაფია.

7.3. საგრანტო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- რა მეთოდებითა და საშუალებით უზრუნველყოფს განმცხადებელი წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას;

- უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვის ან/და სიმღერის ანსამბლის რეგისტრაციის მოწმობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- თანხის ოდენობას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს განმცხადებელი წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას;
- შესრულების ვადას;
- მოსალოდნელ შედეგს.

8. გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება

პროექტის ფარგლებში, გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება რჩება იმ ანსამბლის საკუთრებაში, რომლის სარგებლობისთვისაც იქნა ეს ქონება შეძენილი.

9. საგრანტო კონკურსის გამოცხადების ვადები

9.1. საგრანტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 2025 წლის 23 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით (თბილისის დროით 24.00 სთ.).

9.2. საგრანტო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების (ქართულ ენაზე) მიღება, მითითებული ვადების გათვალისწინებით, ხდება მხოლოდ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - folk@mfa.gov.ge ;

10. საგრანტო კონკურსის ორგანიზება

10.1. კონკურსის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი, საკონსულო და დიასპორის საკითხების დირექტორატის საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი.